

დადგენილება № ცვ-0887-22  
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების  
შეწყვეტის შესახებ

ქ. ქუთაისი,

2 ივნისი, 2022 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 2 ივნისი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ირინე ამყოლაძე, პირადი № 60001106592, დაბ. 1989 წლის 14 ნოემბერს, მის. ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 32.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 31 ივლისს, ქ. ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზ. № 32-ში, აბონენტ ბალანჩივაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. აღნიშნული გამოიხატება მასში, რომ 2021 წლის 8 ივლისს აბონენტი დავალიანების გამო გათიშული იყო ქსელიდან, რა დროსაც მრიცხველის ჩვენება იყო 7639, ხოლო 31 ივლისს გადამოწმების დროს მრიცხველი აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები ირინე ამყოლაძის მიერ ჩართული იყო თვითნებურად და დაფიქსირდა წინწაწეული ჩვენება 7689, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულად დაფარვამდე, მაგრამ მან კვლავ მოახდინა თვითნებური მიერთება და 31 აგვისტოს დაფიქსირდა ჩვენება 7785. თვითნებური მიერთების თავიდან აცილების მიზნით, 2021 წლის 15 დეკემბერს აბონენტის მრიცხველი ჩაიხსნა ქსელიდან, მაგრამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ირინე ამყოლაძე დიდი ხნის განმავლობაში არ იმყოფებოდა ადგილზე. ირინე ამყოლაძის მიმართ 25.05.2022წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 008497 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი. იგი აღიარებს სამართალდარღვევის არსებობას და განმარტავს, რომ ფაქტი მისთვის ცნობილია და აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ირინე ამყოლაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 15.12.2021 წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A878839, რომლითაც დასტურდება იძულებით ღონისძიება, რომ აცილებული ყოფილიყო ქსელში თვითნებური მიერთება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმებამიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ირინე ამყოლაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი. რომლის დროსაც ირინე ამყოლაძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი, მაგრამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ირინე ამყოლაძის მიერ ზემოაღნიშნული სამართალდარღვევა ჩადენილია 2021 წლის ივლისში და კონკრეტულად მისი გამოვლენა კომპანიის მიერ მოხდა 2021 წლის 31 ივლისს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 2022 წლის 25 მაისს. საქმის განხილვა კი ხდება 2 ივნისს. ამდენად, გასულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სახდელის დადების ვადა-ორი თვე, ხოლო იმავე კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 228<sup>2</sup>-ე, 232-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“-გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 30.06.2021 წ. OR №2021018 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. შეწყდეს ადმინისტრაციული საქმის წარმოება ფიზიკური პირის ირინე ამყოლაძის (პირადი №60001106592) მიმართ, სახდელის დადების ვადის გასვლის გამო.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



ტარიელ შვანგირაძე,  
კომისიის თავმჯდომარე